კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI
2024

საერთაშორისო სეზონური სკოლა

# აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე

(ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)

სკოლის მასალების კრებული



INTERNATIONAL SUMMER SCHOOL

# "ABKHAZIA: FROM THE ANCIENT TIMES TO THE PRESENT

(Historical-Culturological Aspects)"

Collection of School Materials

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სამეცნიერო კომიტეტი

თეა ქართველიშვილი
ირინა გოგონაია
შალვა გლოველი
თეიმურაზ ჯოჯუა
ზურაბ ხონელიძე
ზურაბ პაპასქირი
ლია ახალაძე
კახა კვაშილავა
ბეჟან ხორავა
თამარ ქორიძე
ოლივერ რაისნერი

**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts**

**Sokhumi State University**

The Scientific Committee

Tea Kartvelishvili
Irina Gogonaia
Shalva Gloveli
Teimuraz Jojua
Zurab Khonelidze
Zurab Papaskiri
Lia Akhaladze
Kakha Kvashilava
Bezhan Khorava
Tamar Koridze
Oliver Reisner

**მთარგმნელი:** კ. ოთხმეზური, მ. მაჭავარიანი

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2024

# სარჩევი


შესავალი ..... 11

I მოდული: ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“

ზურაბ პაპასქირი *აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა* ..... 15

თეიმურაზ გვანცელაძე *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) ისტორიის ენობრივი ასპექტები* ..... 21

სოფიო კეკუა *აფხაზეთის ონომასტიკა* ..... 29

გიორგი ანჩაბაძე *ქართულ-აფხაზური ურთიერთობები* ..... 35

II მოდული: აფხაზეთი: „აფხაზთა სამეფოდან“ ოკუპირებულ ტერიტორიამდე

შალვა გლოველი *„აფხაზთა“ სამეფოს ისტორია* ..... 42

ბეჟან ხორავა *ცხუმის საერისთავო და აფხაზეთის სამთავრო* ..... 51

ბეჟან ხორავა *რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნე)* ..... 57

კახა კვაშილავა *სამურზაყანო XVIII-XIX საუკუნეებში* ..... 62

ზურაბ პაპასქირი *რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XX საუკუნე)* ..... 66

ტიმოთი ბლაუველთი *აფხაზეთი საბჭოთა პერიოდში: პატრონები და კლიენტები* ..... 71

III მოდული: საეკლესიო პროცესები აფხაზეთში

თამარ ქორიძე *აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება და მისი სტატუსი ერთიან საქართველოში – აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო (IX-XVIII სს.)* ..... 76

თეა ქართველიშვილი *აფხაზეთის საკათალიკოსო XV საუკუნიდან 1814 წლამდე* ..... 82

თეიმურაზ ჯოჯუა *აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირთა ურთიერთობები საქართველოსა და უცხოეთის საეკლესიო ცენტრებთან* ..... 87

IV მოდული: აფხაზეთი: კულტურული მემკვიდრეობა

ლია ახალაძე *„აფხაზთა სამეფოს“ კულტურა და წერილობითი ძეგლები* ..... *91*

ლია ახალაძე *აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები* ..... *97*

ლია ახალაძე *მულტიკულტურული აფხაზეთი* ..... *101*

თეა ქართველიშვილი *სამწიგნობრო კულტურა აფხაზეთში* ..... 106

ნინო ქავთარია *ხელოვნება შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზეთის რეგიონის არტეფაქტების ხელოვნებათმცოდნეობითი* ..... *110*

სალომე ოქრუაშვილი-ბახია *კულტურა აფხაზეთში (ეთნოლოგიური მასალის მიხედვით)* ..... *117*

V მოდული: აფხაზეთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში

თამარ აბულაძე *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციები* ..... *123*

ესმა მანია, ირინა გოგონაია *აფხაზეთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდებში* ..... *130*

ნანული თარგამაძე *აფხაზეთი და ქართული ძველნაბეჭდი წიგნი (XVII-XVIII სს.) პანელური მოხსენებები* ..... *136*

ქეთევან პავლიაშვილი *ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის თანამედროვე პრობლემები და მათი დაძლევის გზები* ..... *143*

ზურაბ ხონელიძე *მშვიდობის ქართული პარადიგმა – საუნივერსიტეტო დიპლომატიის პერსპექტივები* ..... *145*

თეა ქამუშაძე *ცხოვრება „სტუმრად“ - აფხაზეთიდან დევნილთა ყოველდღიურობა და გამოწვევები თბილისის საერთო საცხოვრებელებში*

ირაკლი გელენავა *კულტურული მემკვიდრეობა ოკუპაციის პირობებში (აფხაზეთის მაგალითზე)* ..... *150*

გიორგი პატაშური *აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი და მისი მნიშვნელობა* ..... *152*

მანანა თევზაძე *საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები ჰააგის კონვენციის შესრულების ჭრილში* ..... 156

მილოშ პეტროვიჩი *საქართველო, სერბეთი და გეოპოლიტიკური რღვევის ხაზები*

VI მოდული: შუასაუკუნეებამდელი აფხაზეთი (აფხაზეთი უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე)

კახაბერ ფიფია *ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (აფხაზეთი) ანტიკურ ხანაში*.....161

## მსმენელთა გამორჩეული მოხსენებები

მარიამ ლომსაძე *ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ეთნოგრაფიული ყოფა*.....166

სალომე ქასაბიშვილი *ოკუპაცია და მემკვიდრეობა - პრობლემები და მისი გადაჭრის გზები*.....171

ნინო ხარჩილავა *ტრადიციული ყოფა, მისი ცვლილებები და ეთნოკულტურული პროცესები აფხაზეთში*.....176

WHO IS WHO

ლექტორების შესახებ.....185

CONTENT

INTRODUCTION ..... 13

MODULE I. TERMS "ABKHAZIAN" AND "ABKHAZIA"

ZURAB PAPASKIRI *The Historical-Geographical Overview of Abkhazia*..... 17

TEIMURAZ GVANTSELADZE *Linguistic Aspects of the Autonomous Republic of Abkhazia (Georgia)* ..... 23

SOPHIO KEKUA *Abkhazian Onomastic* ..... 31

GIORGI ANCHABADZE *Georgian-Abkhazian Relations from Ancient Times to the End of the 19th Century* ..... 36

MODULE II: ABKHAZIA: FROM "THE KINGDOM OF ABKHAZIANS" TO THE OCCUPIED TERRITORY

SHALVA GLOVELI *The History of "The Kingdom of Abkhazians"*..... 45

BEZHAN KHORAVA *From the Princedom of Tskhumi to the Principality of Abkhazia* ..... 53

BEZHAN KHORAVA *Russia's Imperial Policy in Abkhazia (19th century)* ..... 58

KAKHA KVASHILAVA *Samurzakano in the XVIII-XIX cc.* ..... 64

ZURAB PAPASKIRI *Russian Imperial Policy in Abkhazia (20th century)* ..... 68

OLIVER REISNER *Determinants of Contested Memories and Historiography over Abkhazia in the 20th Century*

TIMOTHY BLAUVELT *Abkhazia in the Soviet period: Patrons and Clients* ..... 72

MODULE III: ECCLESIASTICAL PROCESSES IN ABKHAZIA

TAMAR KORIDZE *Origin of the Catholicosate of Abkhazia and its status question within unified Georgia – Catholicosate of Abkhazia (West Georgia) (9th – 18th cc.)* ..... 78

TEA KARTVELISHVILI *Catholicosate of Abkhazia from the 15th century to 1814* ..... 84

TEIMURAZ JOJUA *Association of the Abkhazian Clergy with the Georgian and Foreign Ecclesiastical centers* ..... 88

MODULE IV: ABKHAZIA: CULTURAL HERITAGE

LIA AKHALADZE *Epigraphic monuments of Abkhazia Culture and Literary Works of the "Kingdom of Abkhazia"* ..... 93

LIA AKHALADZE *Epigraphic Monuments of Abkhazia 97*

LIA AKHALADZE *Multicultural Abkhazia* ..... 103

TEA KARTVELISHVILI *Literary Culture in Abkhazia* ..... 107

NINO KAVTARIA *Art in Medieval Abkhazia (The art history perspective on the analysis of the artifacts found in the Abkhazian region)* ..... 113

SALOME OKRUASHVILI-BAKHIA *Culture in Abkhazia (according to ethnological material)* ..... 119

MODULE V: ABKHAZIA IN THE COLLECTIONS OF THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

TAMAR ABULADZE *Collections of the Georgian National Centre of Manuscripts* ..... 125

ESMA MANIA, IRINA GOGONAIA *Abkhazia in the Archival Funds of the National Centre of Manuscripts* ..... 132

NANULI TARGAMADZE *Abkhazia and the Georgian Old-Printed books (XVII-XVIII cc.)* ..... 140

PANEL REPORTS

KETEVAN PAVLIASHVILI *Present Day Problems and the Question of Autocephaly of the So Called Church of Abkhazia* ..... 144

ZURAB KHONELIDZE *Georgian Peace Paradigm – Perspeqtives on University Diplomacy* ..... 147

IRAKLI GELENAVA *Cultural Heritage under the Occupation (Case of Abkhazia)* ..... 151

GIORGI PATASHURI *Attribution of the Cultural Heritage Status to the Historical-Architectural Buildings on the Occupied Territory of Abkhazia and its Significance*..... *154*

MANANA TEVZADZE *Protection of Cultural Heritage on the Occupied Territory of Abkhazia in Light of Implementation of the Hague Convention*..... *158*

TEA KAMUSHADZE *Life as a "Guest" – Everyday Life and Challenges of IDPs from Abkhazia in Tbilisi Dormitories*

MILOŠ PETROVIĆ *Georgia, Serbia and the geopolitical fault lines*

MODULE VI. ABKHAZIA FROM THE ANCIENT TIMES TO THE MIDDLE AGES

JONI APAKIDZE *Bronze and Early Iron Age Archaeological Monuments of Abkhazia*

KAKHABER PIPIA *North-West Kolkheti (Abkhazia) in Antiquity Period*.....*163*

REPORTS FROM ATTENDEES

NINO KHARCHILAVA *Traditional Existence, its Changes and Ethnocultural Processes in Abkhazia*.....*168*

SALOME KASABISHVILI *Occupation and Inheritance - Problems and Ways to Solve them*.....*173*

MARIAM LOMSADZE *Ethnographic Life of the Occupied Tskhinvali Region*..*179*

WHO IS WHO

ABOUT THE LECTURERS.....185

# შესავალი

საერთაშორისო სეზონური (საგაზაფხულო) სკოლა „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმატებული პროექტია, რომელიც ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

სკოლის მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის, მისი განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის გააზრება შუა საუკუნებიდან დღემდე, თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებზე დაყრდნობით, სფეროში აკუმულირებული ცოდნის შეჯამება, აფხაზეთის ისტორიის პოლიტიზირებისა და, შესაბამისად, ფალსიფიცირების მცდელობიდან გამომდინარე, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება სკოლის მსმენელებისთვის, აქტუალური საკითხების წინ წამოწევა აფხაზეთის ისტორიული და კულტუროლოგიური კვლევების სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, სამომავლო კვლევითი პერსპექტივების დასახვა, თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება და ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

სკოლის სამეცნიერო პროგრამა  სხვადასხვა აქტივობებთან  (დისკუსიებს მრგვალი მაგიდისა და პანელურ ფორმატში, ინტერაქტიულ-სიმულაციური პროგრამა) ერთად მოიცავს სალექციო კურსს.

აფხაზეთის რეგიონის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით სკოლის სალექციო თემატიკაში გაერთიანდა ისტორიის თითქმის ყველა დარგი: პოლიტიკური ისტორია (შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი პერიოდები), საეკლესიო ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, კულტურის ისტორია (ხუროთმოძღვრების, ფრესკული და მინიატურული მხატვრობის, სამწიგნობრო კულტურის ანალიზი), ეთნოლინგვისტური და წყაროთმცოდნეობითი (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული) კვლევები.

წარმოდგენილი მასალა 6 სასწავლო მოდულად დაჯგუფდა:

1. ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“

2. აფხაზეთი უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე.

3. აფხაზეთი: „აფხაზთა სამეფოდან“ ოკუპირებულ ტერიტორიამდე
4. საეკლესიო პროცესები აფხაზეთში
5. აფხაზეთი: კულტურული მემკვიდრეობა
6. აფხაზეთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში

წინამდებარე კრებულში წარმოგიდგინეთ სამი სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციების ვრცელ ანოტაციებს, ილუსტრაციებითა და თემასთან დაკავშირებული ძირითადი ბიბლიოგრაფიით.

სკოლის მსმენელებს თავიანთი კვლევის შედეგებსა და მეთოდოლოგიას უზიარებენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წამყვანი მეცნიერები. სკოლის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციების (სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების) წარმომადგენლები, აფხაზი და უცხოელი მკვლევრები, რომელთა ბიოგრაფიული ცნობარისგან შედგება წინამდებარე კრებულის მეორე ნაწილი.

# INTRODUCTION

The "International Seasonal (Spring) School: "Abkhazia from the Ancient Times to the Present (Historical-Culturological Aspects)" is the project of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. It is implemented in partnership with the Sokhumi State University. The project is financially supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

The aim of the School is to to create the space where application of up-to-date knowledge and methodology for understanding the autonomous republic of Abkhazia – an inalienable part of Georgia – its history from the middle ages to the present is alive and functioning,

In line with modern standards the project envisages enhancing background for bringing together and conveying the knowledge accumulated in this branch of study; against the background of overwhelming falsification and politicization tendencies it moreover acquires central importance to develop a standing mandate for setting competency and thorough application of up-to-date methodology as a working mode of the School procedure so that the School participants have access to information that stems from reliable sources and this way they can improve their topical knowledge as well as raise their awareness of the subject matter in general.

Further, as it sets forth the topical questions within the field of historical and culturological research of subject it defines prospective research criteria for it and forms partnerships, this way it promotes integration of Georgian scholars within the international academic research milieu.

The academic program of the School in synthesis with various other activities (round table and panel discussions, interactive simulation) covers the lecture course.

For the sake of illustrating history of the region of Abkhazia the School lecture thematic included most of branches of the discipline of history: political history (ancient period, middle ages, modern and contemporary periods), church history, historical geography, history of culture (architectural, fresco and miniature

arts, analysis of the literary culture) the ethno-linguistic studies and research in the source study (narrative, documentary, epigraphic).

The material herein was subdivided within the following 5 learning modules:

1. Terms “Abkhazian” and “Abkhazia”
2. Abkhazia from the Ancient Times to The Middle Ages.
3. From the “Kingdom of Abkhazia” to the Occupied Territory
4. Ecclesiastical processes in Abkhazia
5. Abkhazia: Cultural Heritage
6. Abkhazia in the collections of the National Centre of Manuscripts

The collection herein represents annotations of each lecture.. Each topic has its bibliography with sources and monographs.

The leading scholars/ of the National Centre of Manuscripts share their research results as well as methodology to the School participants.

The School is an environment that functions as a platform for bringing together representatives from different institutions (educational and scientific centers) of Georgia, including Abkhaz researchers as well as foreign researchers. Their biographic directory/reference/tehe directory of their biographies is a second part of this collection.

# I მოდული: ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“

**ზურაბ პაპასქირი**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

აფხაზეთი (აფხაზურად – Аҧсны/აფსნი) – საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობით – *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა* – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეა. მდებარეობს საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდ. ფსოუსა, რომელზეც გადის საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ამ მიმართულებით, და მდ. ენგურს (ადმინისტრაციული საზღვარი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეთან) შორის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დასავლეთით აფხაზეთს ეკვრის შავი ზღვა, ჩრდილოეთით შემოსაზღვრულია კავკასიონის წყალგამყოფი ქედით.

აფხაზეთის ტერიტორიის ამგვარი კონფიგურაცია შეიქმნა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად თავდაპირველად აფხაზეთად იწოდებოდა მდ. ეგრისწყლის (დღევანდელი მდ. ღალიძგა – ოჩამჩირესთან) ჩრდილოეთით მდებარე მხარე, მოგვიანებით (V-VIII ს. I ნახევარი) აფხაზეთი იწყებოდა მდ. კელასურიდან (სოხუმთან) და მოიცავდა ტერიტორიას ნიკოფსიამდე (თანამედროვე ტუაფსეს მიდამოები). დაახლოებით VIII ს. 70-80-იანი წლებიდან, მას მერე, რაც აფხაზეთის ერისთავმა, ჯერ მთავრის, ხოლო შემდეგ „აფხაზთა“ მეფის სტატუსით თავისი ძალაუფლება განავრცო ისტორიულ ეგრისზე, ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა არსებითად შეიცვალა და მის ქვეშ უკვე მთელი დასავლეთი საქართველო – „ვიდრე ლიხამდე“ იგულისხმებოდა.

XI ს. დამდეგიდან – „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის სკიპტრის ქვეშ დანარჩენი საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ – ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ამ დროიდან ის სრულიად საქართველოსაც აღნიშნავდა. ამასთან, ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოდ წოდებულ დასავლურ-ქართულ (IX-X სს.) სახელმწიფოში, ხოლო შემდეგ დიდ „აფხაზეთში“ ანუ ერთიან საქართველოში – (XI-XV სს.) აფხაზეთი ერქვა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულსაც – საერისთავოს, რომელიც მოქცეული

იყო ანაკოფიასა (თანამედროვე ახალი ათონი) და ნიკოფსიას (თანამედროვე ტუაფსესთან – რუსეთის ფედერაცია) შორის. ამჟამინდელი აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორია კი გადანაწილებული იყო ცხუმისა (სოხუმისა და გულრიფშის რ-ნები, ოჩამჩირის რ-ნის ნაწილი) და ბედიის (ოჩამჩირის რ-ნის ნაწილი და გალის რ-ნი) საერისთავოებს შორის, რომელიც სამეგრელო-ოდიშის მმართველ დადიანთა სახლს ეკუთვნოდა.

XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძეთა საგვარეულოს ძალისხმევით, აფხაზეთის საერისთავო სამეგრელო-ოდიშის მმართველი დადიანთა სამთავრო სახლის უზენაესობიდან გამოვიდა და თანდათან ცალკე სამთავროდ (იურიდიულად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში) გაფორმდა. ამავე პერიოდში. შარვაშიძეებმა მეზობელი ჯიქების მოშველიებით ჯერ გაარღვიეს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“ აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა – ე.წ. „კელასურის კედელი“, დაიკავეს დადიანთა კუთვნილი ტერიტორია „ვიდრე ეგრისის მდინარემდე“ და დაიწყეს აქ აფხაზთა ჩასახლება. XVIII ს. დამდეგისათვის შარვაშიძეებმა უკვე ეგრისწყალსა და ენგურს შორის ტერიტორიაც მიიტაცეს. სწორედ ამ დროიდან მოექცა აფხაზეთი თანამედროვე საზღვრებში.

XVIII საუკუნის განმავლობაში მდ. ეგრისწყალსა და ენგურს შორის ტერიტორია ცალკე ფეოდალურ სამფლობელოდ – სამურზაყანოდ – ჩამოყალიბდა, რომლის მმართველი შარვაშიძეები (მურზაყან შარვაშიძის შთამომავლები) უმეტესწილად დადიანთა სამთავრო სახლის უზენაესობას აღიარებდნენ. ასევე ცალკე განიხილებოდა წებელდის მხარეც, რომლის მფლობელი მარშანიები არ ცნობდნენ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა უფლებებს მათ მამულზე. ყოველივე ამის გამო XIX საუკუნეში ოფიციალურ დოკუმენტებში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ძირითადად მოიხსენიებოდა არა აფხაზეთად ზოგადად, არამედ აფხაზეთად, წებელდად და სამურზაყანოდ.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა (1864 წ.) და იქ რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, იმპერიის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებით ტერმინი აფხაზეთი საერთოდ ამოიღო ხმარებიდან და აფხაზეთი, წებელდა და სამურზაყანო ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულში – სოხუმის სამხედრო განყოფილებაში (მოგვიანებით – სოხუმის ოკრუგი/ოლქი/) მოაქცია, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარა.

ტერმინმა „აფხაზეთი“ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა კვლავ შეიძინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ცნო აფხაზეთი წებელდის მხარისა და სამურზაყანოს ჩათვლით ერთიან

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად და მიანიჭა მას ავტონომიის სტატუსი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და აქ საბჭოურ-ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ აფხაზეთი 1921 წ. მაისში ფორმალურად გამოცხადდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც იმავე წლის დეკემბერში ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსით შევიდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1931 წელს ე.წ. „ხელშეკრულებით“ აფხაზეთის სსრ გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

1991 წ. დეკემბერში სსრ კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით რჩებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1992-1993 წლების სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, სეპარატისტულმა რეჟიმმა აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიისა და მისი სეპარატისტული რეგიონების, „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნობის მიუხედავად, მსოფლიო თანამეგობრობა (თითო-ოროლა ჯუჯა-სახელმწიოფოსა და კვაზიდიქტატორული რეჟიმის გამოკლებით) უპირობოდ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციას აფხაზეთზე, ხოლო საქართველოს კონსტიტუციით აფხაზეთი კვლავაც ითვლება ავტონომიურ რესპუბლიკად.

***Zurab Papaskiri***
*Sokhumi State University*

## THE HISTORICAL-GEOGRAPHICAL OVERVIEW OF ABKHAZIA

Abkhazia (Georgian – აფხაზეთი; Abkhazian – Аҧсны/Apsny) – The Autonomous Republic of Abkhazia by the state arrangement of Georgia, is a historical-geographical region of Georgia. It is located in the northwestern part of Georgia between the rivers Psou, the Georgian-Russian state border, and Enguri (administrative border with Samegrelo-Zemo Svaneti) in the south-east. To the west of Abkhazia lies the Black Sea, to the north it is surrounded by the Caucasus.

Such a configuration of the territory of Abkhazia was created at the turn of the 17th-18th centuries. According to the ancient Georgian historical tradition, the north side of the river Egristskali (contemporary river Ghalidzga, near Ochamchire) was originally called Abkhazia. Later (from the 5th century up to the first half of the 8th century) the teritorry of Abkhazia began from the river Kelasuri (near Sokhumi) and covered the area to Nicopsia (the area of modern Tuapse – Russian Federation). From about 770-780s, after the Eristavi (governor of a province in Medieval Georgia) of Abkhazia took over the historical Egrisi, first as the Mtavari (Prince) and then as the King of Abkhazs, the notion of "Abkhazia" had substantially changed and it defined the whole western Georgia – up to the Likhi Range.

From the beginning of the 11th century, when the king of Abkhazia Bagrat III united the whole Georgia, the meaning of the term "Abkhazia" has expanded further. Since then it has defined the whole Georgia. At the same time, first in the so-called "Abkhazs'" kingdom (9th-10th cc.) and then in the "Great Abkhazia," i.e. unified Georgia (11th-15th centuries), there was an administrative unit Saeristavo (Principality) of "Abkhazia". It was located between Anakophia (modern New Athos) and Nikopsia. The rest of present-day Abkhazia was divided between the Tskhumi Saeristavo (Sokhumi and Gulripshi districts, part of Ochamchire region) and Bedia Saeristavo (a part of Ochamchire region and Gali region), which belonged to the Dadianis (ruling house first of Samegrelo-Odishi Saeristavo and then of Odishi Principality).

In the 17th century, with the efforts of the Sharvashidzes (the Eristavis of Abkhazia and vassals of the Dadianis), Abkhazia gradually formed a separate principality within the Imereti kingdom. During the same period, the Sharvashidzes, with the help of neighbouring Jiks, first broke through the fortifications built by Levan II Dadiani (1611-1657) for the "stopping of the Abkhazs" – the so-called "Kelasuri Wall", then occupied the territory owned by the Dadians up to the Egrisi River, and began the process of populating the territory with the Abkhazs. By the beginning of the 18th century the Sharvashidzes seized the territory between Egristskali and Enguri too. From this time the modern borders of Abkhazia have been formed.

During the 18th century, on the territory between the rivers Egristskali and Enguri a new feudal dominion of Samurzakano was formed. Its rulers were the descendants of Murzakan Sharvashidze and they mostly recognized the dominance of the Dadiani Princedom. Tsebelda was also considered to be a separate unit, whose owners the Marshanias did not recognise the Sharvashidzes as their suzerains. Due to this in the official documents of the 19th century, the territory of modern Abkhazia was mainly referred not to Abkhazia in general, but to Abkhazia, Tsebelda, and Samurzakano.

After the abolition of the Abkhazian Principality (1864) and the introduction of Russian rule, the authorities of the Empire completely removed the term Abkhazia.

Abkhazia, Tsebelda, and Samurzakano became a joint administrative unit – a subdivision of a military department of Sukhumi (later – Sukhumi District), which was submitted to the Governor-General of Kutaisi.

After Georgia regained its independence (26 May 1918) the term "Abkhazia" again gained political-administrative significance, when the Government of the Democratic Republic of Georgia recognized Abkhazia, including Tsebelda and Samurzakano, as a united administrative and territorial unit and granted it autonomous status.

After the overthrowing of the Democratic Republic of Georgia and the establishing of the Soviet-Bolshevik regime, in May 1921 Abkhazia was formally proclaimed as an "independent" Soviet Socialist Republic, which in the December of the same year entered the Soviet Socialist Republic of Georgia with the status of a "contractual republic." In 1931 according to the so-called "treaty" the Abkhazian SSR was transformed into an Autonomous Soviet Socialist Republic of Abkhazia within the Georgian SSR.

After the collapse of the USSR in December 1991, Abkhazia remained an autonomous republic within the independent Georgian State – the Republic of Georgia. After the 1992-1993 military conflict and the expulsion of most part if its population, the separatists declared Abkhazia as an independent republic. In August 2008, in spite of the Russian Federation's open aggression and its recognition of the separatist regions as "independent states," the world community (except for some dwarf-states) unconditionally recognizes Georgian jurisdiction over Abkhazia and according to the Georgian Constitution Abkhazia is still considered as to be an autonomous republic.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


მარიამ ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი, 1990 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3489/1/AbxazetiDaAfxazebi.pdf).

Avtandil Menteshashvili. Trouble in the Caucasus. New York, 1995.

Zurab Papaskiri. Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 2, 2008, CA&CC Press®. Sweden; Part II. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 4, 2008, CA&CC Press®. Sweden.

*Дж.Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.*

ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბილისი, 2004 (http://dspace.

nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf); ნაკვ. II. 1917-1993. თბილისი, 2007 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29915/1/Nakveti_II.pdf).

*ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე.* მთავარი რედაქტორი: ჯემალ გამახარია. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი, 2007 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/292145/1/Narkvevebi-Saqartvelos-Istoriidan-Afxazeti.pdf).

Зураб Папаскири. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тбилиси, 2010.

Essays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days. Chief editor: Jemal Gamakharia. Tbilisi, 2011 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10253/1/Abxazia.pdf).

Mariam Lordkipanidze. Essays on Georgian History. Tbilisi, 1994.

Avtandil Menteshashvili. Trouble in the Caucasus. New York, 1995.

Zurab Papaskiri. Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. – The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 2, 2008, CA&CC Press®. Sweden; Part II. – The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 4, 2008, CA&CC Press®. Sweden.

Дж.Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.

Зураб Папаскири. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тбилиси, 2010.

**თეიმურაზ გვანცელაძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) ისტორიის ენობრივი ასპექტები

აფხაზეთის რეალური ისტორიის ობიექტური მეცნიერული კვლევა შეუძლებელია იმ ენობრივი მასალების სწორი მეთოდოლოგიური ანალიზის გარეშე, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მხარის შორეული და ახლო ისტორიული წარსულის ეთნოლოგიურ, კულტუროლოგიურ და პოლიტიკურ პრობლემებთან. ლინგვისტური საკითხები იმით უფროა აქტუალური, რომ ენობრივი მასალის (გეოგრაფიული სახელების, პიროვნებათა სახელების, გვარების, სოციალურ და სხვა სემანტიკის მქონე ტერმინთა...) არასწორი ინტერპრეტაციები ხშირად საფუძვლად უდევს „სამეცნიერო მითებს" კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში ამ პროვინციასა და მის მეზობელ მხარეებში წარმოდგენილი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ. ასეთ მცდარ ინტერპრეტაციებზე, ან გაყალბების საფუძველზე დამყარებულ ფსევდოთეორიებს კი, თავის მხრივ, ამჟამინდელი პოლიტიკური მიზნების გასამართლებლად იყენებენ.

მაგალითად, აკად. ნ. მარის დაუსაბუთებელ ჰიპოთეზას დასავლეთ საქართველოში აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრების ქართველებამდე ცხოვრების შესახებ ეფუძნება აფხაზ ავტორთა პუბლიკაციები აფხაზეთის ტოპონიმთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ. მაგალითად, აფხაზი ენათმეცნიერი, აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერი ვალერი კვარჭია ავტორია აფხაზეთის ტოპონიმთა შესახებ გამოცემული წიგნებისა, რომელთაც რამდენიმე ზოგადი ნაკლი აქვთ, კერძოდ:

- მთავარი დასკვნები ეფუძნება ნ. მარის დაუსაბუთებელ მოსაზრებას, რომ აფხაზეთში თავიდან ქართველები არ ცხოვრობდნენ და კოლხები აფხაზები იყვნენ;
- ავტორი თვითონ ქმნის „არქეტიპულ" ფორმებს, ან უტყუარი არგუმენტის სახით იმოწმებს ხალხურ ეტიმოლოგიებს კონკრეტულ ტოპონიმთა შესახებ;
- ავტორი თავს ვალდებულად არ მიიჩნევს, გამოიკვლიოს მრავალსაუკუნოვან ქართულ ისტორიულ წყაროებში ფიქსირებული ტოპონიმები და მათი წარმომავლობა.

- ვ. კვარჭია შერჩევით იყენებს სხვა წყაროებს, როცა მათში ხედავს სეპარატიზმისათვის სასარგებლო ინფორმაციას, მაგრამ არც კი ახსენებს გამჭვირვალე ქართული ეტიმოლოგიის მქონე ტოპონიმებს. სამაგიეროდ, მისი ფავორიტული წყაროებია მე-19 საუკუნის რუსული მასალები, რომელთა უდიდესი ნაწილი ტენდენციური და/ან უზუსტოა;
- ობიექტური წყაროებისადმი ეს დამოკიდებულება კომპენსირდება იმ ფოლკლორული მასალის სიუხვით, რომლების სანდოობის ხარისხის შემოწმება შეუძლებელია (პრინციპი: „ასე ამბობენ ჩვენი მოხუცები“);
- იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ავტორს მოჰყავს რუსულის გარდა სხვა ენებზე არსებული მონაცემები, იგი ცდილობს, აფხაზური წარმომავლობის სახელებად გამოაცხადოს აშკარად ქართული ტოპონიმები.

ამგვარი პრაქტიკა ავტორისათვის სასურველ შედეგებს იძლევა: საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს აფხაზეთის მიწაზე ქართული ტოპონიმები აფხაზურზე გვიან წარმოქმნილა. ასე ინერგება აზრი „ქართველთა ოკუპანტობის“ შესახებ.

ტენდენციურობას იჩენს ვ. კვარჭია მაშინაც, როცა განიხილავს ისეთ თემას, როგორიცაა ტოპონიმთა ნაწილის გაქართულება აფხაზეთში XX საუკუნის 30-40-იან წლებში.

სეპარატიზმის იდეოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ მოსაზრების მსოფლიოში გავრცელებას, თითქოს 1938-1953 წლებში აფხაზეთში ხორციელდებოდა აფხაზი ხალხის გაქართველების პროცესი, იკრძალებოდა აფხაზური ენის სწავლება სკოლებში, ამ ენაზე პრესისა და წიგნების ბეჭდვა და ა.შ. ეს მოსაზრება ამჟამად მოსწავლეთა შორის მასობრივად ვრცელდება სტანისლავ ლაკობასა და ოლეგ ბღაჟბას მიერ შედგენილი აფხაზეთის ისტორიის რუსულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოთი. ამ ბრალდებათაგან არცერთი არ მტკიცდება სანდო წყაროების მონაცემებით.

***Teimuraz Gavntseladze***
*Sokhumi State University*

# LINGUISTIC ASPECTS OF HISTORY OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA (GEORGIA)

Objective scientific study of the real history of Abkhazia is impossible without the correct analysis of the linguistic material, which is tightly connected with the ethnological, cultural and political problems of the distant and close historical past. Linguistic questions are more pressing as incorrect interpretations of linguistic material (geographical names, personal names and surnames, social and some terms with different semantics…) often lay the foundation to the "scientific myths" about the specific historical period in this province and about the ethnic identity of the population of its neighboring regions. In their turn, such false interpretations or based on these forged facts pseudo theories are often used for the justification of current political goals.

For example, a famous linguist, academician Niko (Nicholas) Marr without proper methodological analysis registered likeness between some toponyms of west Georgia with Abkhazian and Circassian words and part of the toponyms of east Georgia with Chechen-Ingush-Dagestani ones. He was the one, who made a historical-ethnological conclusion based on those hasty suppositions: as if the ancestors of Abkhazians and Circassians lived on the territory of West Georgia before Georgians, as well as the ancestors of Chechens and Ingush and Dagestanis on the territory of East Georgia. This unfounded supposition without any criticism was recognized by many scientists, among them: I. Javakhishvili, S. Janashia, Arn. Chikobava, T. Gamkrelidze, etc… as for Abkhazian authors, scientists and politicians, based on the above mentioned hypotheses, they built the ideology of Abkhazian Separatism: they claim that Georgians had never lived not only on the territory of present Abkhazia, but on the territory of West Georgia up to Likhi (Surami) mountain range too. This supposition has many faults and to demonstrate the latter, we resort to one of the specific examples, which vividly display unscientific character of Niko Marr's pseudo theory:

In 1912 N. Marr writes about the widely spread family name among Abkhazians (Apsua) Gubaz; he writes that this surname consists of the following elements: gu, ba and z, from which this gu is the root of Abkhazian word for a heart – a-gu; according to him –ba is the ending of Abkhazian surnames (compare Abkhazian surnames: Ajhi-ba, Aj-ba, Adzin-ba…), as for the particle z according to N. Marr it must have been the phonetic version of the ending of Georgian surnames dze meaning "son". In author's opinion initially existed an Abkhazian surname *Guba,

whose representatives in the course of time became Georgianized and the surname received the Georgian ending for surnames dze, from which only this consonant z was preserved. They say that this way Georgianized surname *Gubadze was received from "Abkhazian" surname *Guba, which later turned into a masculine boy's name; comp. in V-VI centuries, the name of two kings of Lazika was Gubaz. N. Marr asserted that the name of the river in Guria Gubazouli was derived from anthroponym Gubaz and forthwith stated that the given example proved that initially Abkhazians lived on the territory of the present day West Georgia and that Georgians settled there later[1]. If we consider this statement variable then we should also accept that Abkhazian surnames should have had –ba endings much earlier than V century and at the beginning of that century reconstructed and phonetically transformed form of this word Gubaz should have already existed, which can not withstand any criticism as:

1. No written sources confirm the existence of surnames in the Caucasus of that period;

2. Even today there are no surnames with the ending –ba in the spread in the Northern Caucasus Abaza dialects (exceptions are 14 surnames, which also have the ending –aa, denoting the plural number and these versions are more organic. As for the ending –ba, these surnames received this ending in the 20-30th of XX century when the representatives of these surnames were forcefully resettled to Abkhazia). Even more, in the official lists of forcefully migrated Abkhazians to Turkey by Russia in 1867, there are not any surnames with ending –ba and neither of them coincide with the present day models. This means that majority of Abkhazian surnames did not have the ending -ba at that time yet.

3. The word Gubaz-i is widely used in Mingrelian speech and means "easy-going, free". Thus the word would more easily become a masculine boy name, rather then the word that denotes a heart[2].

It means that N. Marr arbitrarily divided the word at its "component parts" and ascribed it to the Abkhazian Language; he ignored the factual history and without any "hesitation" formed a "theory" about the settlement of the Abkhaz in Guria prior to Georgians.

Publications of Abkhazian authors on the origin of Abkhazian toponyms and etymology are based on N. Marr's this pseudo theory. For example, Valeriy Kvarchia, Abkhazian linguist (Historian by education), the speaker of so called "parliament" of

---

[1] Н.Я. Марр. О языке и истории абхазов. Ленинград, 1936, pp. 57-58.

[2] See in details: თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბ., 2008, გვ. 5-21; თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. თბ., 2011.

Abkhazia is the author of books[1] on Abkhazian toponymy, which have some general faults, namely:

- All basic conclusions of the author are based on the groundless opinion of N. Marr, that initially Georgians never lived in Abkhazia and that Colchis were Abkhazians too;
- The author creates "archetype" forms himself, or uses popular etymology of some specific toponyms as an indisputable argument;
- The author does not oblige himself to study registered toponyms and their origin given in the centuries old Georgian historical sources. Ignoring of Georgian sources in the bibliography of V. Kvarchia' works is a common practice.
- V. Kvarchia is rather prejudicial when resorting to Greek-Latin, Arabic, Syrian, Persian, Armenian, Ottoman and west European sources; he uses them when sees some beneficial information for separatism, but never mentions Georgian toponyms of rather transparent etymology. However, his favorite sources are 19 century Russian annals, majority of which either are biased or inaccurate.
- This attitude towards historic sources are compensated by the abundance of folk material, while the level of variability of the latter is impossible to prove (the used principle is: "That is what our old people would say");

In those rare cases when the author gives the data found in other sources but Russian (among them Georgian), he does his utmost to ascribe Abkhazian origin to clearly Georgian toponyms.

For example, V Kvarchia names Achamchəra // Ochamchira // Ochamchəra as versions of Ochemchire (town). On the Russian map published in 1813 the registered name of the river was Ochamchira, on the Russian map of 1847 the registered name of the same river was Achemchira; the author mentions that on the map published in 1849 the place is registered as Ochamchira. Forthwith he states: "We support the statement of our 90 year old informer Iwana Delba that Achamchəra derives from Abkhazian Ajampchpchəra, which means "a place for clay production". Indeed, in the past Ochamchira was the basic supplier of population of Abkhazia with clay products"[2]. Thus, unequivocally, based on the statement of unprofessional old man and sharing the popular etymology, was decided the Abkhazian origin of the etymology by the scientist, who without any comments gave the clearly objective supposition of

---

[1] See: В.Е Кварчия. Ойконимы Абхазии в письменных источниках. Сух., 1985; В.Е. Кәарҷиа. Аҧсны атопонимика. Аҟәа, 2002; В.Е Кварчия. Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование). Сух., 2006; В.Е Кварчия. О границах исторической и современной Абхазии. Сух., 2011.

[2] В.Е Кварчия. Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование). Сух., 2006, p. 113.

prof. Giorgi Rogava, who states that the toponym originates from Mingrelian Oche "field, cornfield" + Mchire "wide". This form Ochemchire is often mentioned in 19 century Russian and Georgian sources, as for Achamchəra, declared as the Abkhazian form is not registered in any language; declared as archetype Ajampchəra means not "a place for clay production", but "the place for smashing bowls" (Sic! -T. G.).

Such practice gives desirable results to the author: uninformed reader would have an impression that existing Georgian toponyms originated on the Abkhazian land much later then Abkhazian ones. This way is instilled the opinion about the "Georgian occupation".

V. Kvarchia displays his tendentiousness even in those cases, when he discusses such a topic as Georgianizing of a part of Abkhazian toponyms in the 30-40th of XX century. The author underlines that: "majority of Abkhazian villages were renamed from 1937 up to 1953. For example, in Gagra region 43 out of 57 settlements, in Gulripsh region 54 out of 93 villages, in Sokhumi region 35 out of 61 villages received new Georgian names. In the soviet Georgia during 1921-1966 about 500 settlements were renamed and 318 out of them were in small Abkhazia. No historical name was restored in that period"[1]. But here V. Kvarchia does not reveal some important details to the reader, namely:

1. much earlier, in 1867 and 1878-1880 2/3 of Abkhazian villages were literary emptied by the Russian Empire authorities and Russians, Ukrainians, Armenians, Greeks, Estonians and Germans were settled on their lands. In that period historical Abkhazian and Georgian names were totally changed primarily by Russian names. V. Kvarchia writes about it on the previous page but he presents the number of toponyms in the way that it makes the reader think that Georgians had substituted all Abkhazian toponyms by Georgian ones.

2. The author's statement that out of 500 changed toponyms 318 were registered in Abkhazia makes big impression on the reader. And here again, full information is concealed from readers namely, Russian Empire made totally the whole Muslim population of Georgia to leave for Turkey not only from Abkhazia but from different parts of Georgia as well (for example from Ajara and Samtskhe-Javakheti), but massive change of toponyms did not take place there. And that is why, more toponyms underwent change in Abkhazia and communists mainly abolished the Russian names, which were connected with Royal family members, Russian Generals, influential officials and landowners or were associated with Christianity: Alekseevka, Mikhailovka, Vorontsovka, Pilenkovo, Arkhiereiskoe, Kholodnaia Rechka…

---

[1] В.Е Кварчия. Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование). Сух., 2006, p. 13.

3. The most important is the fact that V. Kvarchia exaggerates when states that no historical toponym has been restored. Factually in 30-50th of the previous century, the names of Russian and other language origins were changed by Abkhazian names: Russian Asterovka > Abkazian amzara, Russian Baklanovka > Abkazian Aatsi, were united villages with Russian names Tsentralnoe Komsomolskoe + Krasnoe and was renamed into Abkhazian Psirtskha, German Gnadenberg > Abkhazian Dzigvta, Turkish Kavakluk > Abkhazian Achandara etc… It is obvious that communist authorities avoided changing Abkhazian toponyms[1].

We should also be noted that nobody has any right to make the local population forcefully leave their villages, homes and change the names of villages and towns on a massive scale, as it was done firstly by Russian Empire in XIX century and later by Abkhaz separatists, with the military assistance of the same Russians in the last decade of XX century. Likewise, the man who has been preparing the "false scientific" and ideological ground for massive change of Georgian toponyms by Abkhazian ones since 1994 up today, has no right write tendentiously about the crimes of others.

In short about other linguistic processes: ideologists of Abkhazian separatism pay special attention to the spread of the following information throughout the world: as if 1938-53 years was the period of "Georgianizing of Abkhaz population", that teaching of the Abkhazian language was prohibited at schools and no books or press was published in this language, etc. This statement is widely spread among pupils today with the help of "History of Abkhazia" for Russian language schools, written by Stanislav Lakoba and Oleg Bgajhba[2]. Resorting to some facts from Abkhazian history of 1938-53 is enough for denial of these accusations:

1. Factually genuin Abkhazian school has never existed and do not exist even now. Those institutions, which were or are still called "Abkhazian Schools" in reality are and were Russian schools where Abkhazian language and literature are or were taught. From the second part of XIX century till 1947 and from 1954 up to now, all subjects in humanities, sociology sciences and technical subjects except the mother language and literature were taught and are still taught solely in the Russian Language. During 1947-1953 this school still was called Abkhazian School, though at the instruction of Moscow, the Russian language was substituted by the Georgian language. No incidents of Georgianizing of Abkhazian pupils were registered during those 7 years.

---

[1] See details: თ. გვანცელაძე. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. XXXIV. თბ., 2000, გვ. 44-51.

[2] С.З. Лакоба, О.Х. Бгажба. История Абхазии: С древнейших времен до наших дней. Учебник для 10–11 классов общеобразовательных учебных заведений. 2-е изд., дополненное и переработанное. Сух., 2015, pp. 373-374.

2. Despite the war, over the period of analysis, founded in 1919 Abkhazian newspaper “Apsni Kapsh” (1919-1920 it was called “Apsni”) was still published; still functioned Abkhazian department of Abkhazian Radio, were published about 300 books and brochures on politics, economy, agriculture which were written in or translated into Abkhazian; were issued school textbooks and school programs in different subjects, the works of recognized and young Abkhazian writers; in that period functioned Abkhazian theatrical company. All these verify that Abkhazian language did not undergo any persecution and was as actively used as any other language of different autonomous republics of the Soviet Union.

Thus the considered material proves that anti-Georgian accusations concerning the Abkhazian language made by the separatists are deprived any factual ground.

**სოფიო კეკუა**
*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი*

# აფხაზეთის ონომასტიკა

ონომასტიკური კვლევა-ძიება მეტად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. თითოეული სახელი – პირსახელი, გვარსახელი, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელები ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავენ ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების შესწავლის მხრივ. სახელები, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, ხშირად პირდაპირ მიგვითითებენ მათ წარმომავლობაზე, მათ შემქმნელთა ეროვნებაზე, ავტოქთონობაზე თუ მოსულობაზე და ა.შ. ამიტომაც აუცილებელია ონომასტიკური მასალის სრულყოფილი ანალიზი, რათა სახელის ზუსტი ეტიმოლოგიის საფუძველზე დადგინდეს, თუ რა უდევს საფუძვლად თითოეული მათგანის წარმოშობას.

ცნობილია, რომ დღეს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ტოპონიმების მასობრივი ცვლა, რითაც ხდება ქართული კვალის წაშლა და ისტორიის გაყალბება. წერილობით და კარტოგრაფიულ ცნობებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია დავაზუსტოთ, თუ როგორი იყო ამ მხარის ონომასტიკური ვითარება და სად გადიოდა რეალური საზღვრები. აქედან გამომდინარე, საკვლევი საკითხი მეტად აქტუალურად წარმოგვიდგება.

მოხსენებაში საანალიზო ერთეულები ძირითადად წარმოდგენილია შუა საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო იურიდიული ხასიათის ორი დოკუმენტიდან, როგორიცაა: **„ბიჭვინტის იადგარი“ (1525-1550 წწ.)** და **„აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1621 წ.)**, აღნიშნულ დოკუმენტებში შედარებით ვრცლად არის შემონახული ცნობები დღევანდელი აფხაზეთის შესახებ.

საკვლევი მასალის უმრავლესობა ქრონოლოგიურად მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს, ხოლო გეოგრაფიული არეალი გულისხმობს ამჟამინდელ სამეგრელოს მთლიანად, დაწყებულს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდინარე ენგურამდე და სვანეთიდან გურიამდე. რაც შეეხება ახლანდელ აფხაზეთს, საკვლევი მასალის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები იწყება მდინარე ენგურიდან და უწყვეტად მიდის მდინარე კოდორის მარჯვენა

ნაპირის ერთ ნაწილამდე, ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის ტერიტორიის შუაგულამდე, ამის იქით კი სახელდება მხოლოდ ბიჭვინთა და მისი ახლომდებარე 3 სოფელი; საბუთებში სრულებით არ იხსენიება კოდორ-ფსოუს შუამდინარეთის არცერთი სხვა მსხვილი, თუ მომცრო გეოგრაფიული ობიექტი, ცხუმის გარდა, და მათში მოსახლე ადამიანთა პირსახელები და გვარები, რაც შეიძლება ამგვარად ავხსნათ: როგორც დადგენილია ისტორიკოსთა მიერ, ამჟამინდელი სამეგრელო და აფხაზეთი იმთავითვე ქართველური ეთნიკურ-ენობრივი კონტინუუმის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენდა, ხოლო XVI საუკუნიდან დაიწყო ამჟამინდელი აფხაზეთის მიწებზე კავკასიონის გადაღმიდან თანამედროვე აფხაზთა წინაპრების ინტენსიური ექსპანსია, რასაც მოწმობს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე არსებული ქართული თუ უცხოური წყაროები. ცნობილია ისიც, რომ აფხაზთა წინაპრებმა მხოლოდ XVII-XVIII სს. მიჯნაზე დაიწყეს კოდორის მარცხენა მხარეს, ანუ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის მიწაზე დასახლება. ბუნებრივია, ახლად მოსულ უპირატესად წარმართ და/ან მაჰმადიან აფხაზებს აფხაზეთის საკათოლიკოსოს, ქართული ეკლესიის წინაშე არანაირი იურიდიულ-სოციალური ვალდებულებები არ ჰქონდათ, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ისტორიულ საეკლესიო საბუთებში არ იხსენიება აფხაზური წარმომავლობის პირსახელები, გვარსახელები და გეოგრაფიული ნომენკლატურა. სამაგიეროდ, მდინარე კოდორიდან დაწყებული იმერეთის საზღვრამდე ათეულობით ონომასტიკური ერთეული დასტურდება, რომლებიც ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური მოდელების მიხედვითაა აგებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე და ჩვენს საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმდროინდელი აფხაზეთის ნაწილი მდ. ენგურიდან მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის ნაწილამდე ნამდვილად ქართული (მეგრული) მოსახლეობისაგან შედგებოდა, რაზეც მიუთითებს საანალიზო დოკუმენტებში გამოვლენილი ონომასტიკური მასალა. ამ მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს თითოეული მათგანის ქართველური წარმომავლობა. არცერთ შემთხვევაში არ დასტურდება აფხაზური წარმოშობის სახელები. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ქართველური წარმოშობის პირსახელი, გვარსახელი, თუ ტოპონიმი უდევს საფუძვლად ამჟამად უკვე აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმირებულ, ან ამ ენის ფონოტაქტიკის წესების საფუძველზე სახეცვლილ აფხაზთა შორის გავრცელებულ პირსახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს. ამრიგად, ქართული ისტორიული და იურიდიული საბუთების კვლევამ აჩვენა, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ჩანს არაქართული მოსახ-

ლეობის ბინადრობის არანაირი კვალი არც პირსახელებში, არც გვარებსა და არც ტოპონიმებში. ეს მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო გაგრძელებაა.

***Sophie Kekua***
*Saint Andrew The First-Called Georgian University*

## ONOMASTICS OF ABKHAZIA

